

„ვამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაცია



„18“

„“

2018 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდებში

2018 წელი
4-6 მაისი
თბილისი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- საქართველოს ძიუდოს ახალგაზრდული (ვაჟები) ნაკრები გუნდის დაკომპლექტება;

II. შეჯიბრის ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრის მონაწილეები

- შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ის ძიუდოსტები, რომელთაც მოიპოვეს საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ასპარეზობის ლიცენზია.

IV. შეჯიბრის კენჭისყრა, ადგილი, დრო

- კენჭისყრა ჩატარდება 4 მაისს საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ოფისში.
- შეჯიბრი ჩატარდება 2018 წლის 5-6 მაისს, ქ. თბილისში ძიუდოს აკადემიაში.
- ჩამოსვლის დღე ქ. თბილისი – 4 მაისი, წასვლის დღე – 7 მაისი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 10.00 საათი.

V. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 8 წონით კატეგორიაში:
55კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ; 81კგ; 90კგ; 100კგ; +100კგ;
5 მაისი – 55კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ;
6 მაისი – 81კგ; 90კგ; 100კგ; +100კგ;

VI. აწონვა

აწონვა: ქ. თბილისში

4 მაისი თბილისში, ძიუდოს აკადემიაში

55კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

5 მაისი ქ.თბილისში, ძიუდოს აკადემიაში

81კგ; 90კგ; 100კგ; +100კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

VII. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, დამისთვეა, კვება) გაიღებს მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +995 2 52 82 05;

საკონტაქტო პირი – 577 99 44 07 ზურაბ უსუფაშვილი

საკონტაქტო პირი – 568 31 16 60 ლაშა გუჯეჯიანი

P.S.

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- შეჯიბრებაზე სპორტსმენტათვის სავალდებულოა ლურჯი და თეთრი ფერის კიმანოს ქონა.

გენერალური მდივანი



გიორგი ათაბეგაშვილი